მანანა მელიქიშვილი - ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრეული დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის - ინკლუზიური განათლების საწყისი ეტაპი

დღეს საქართველოში ფართოდ გავრცელდა ინკლუზიური განათლების იდეა, რასაც განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებმა შეუწყო ხელი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეულ დახმარებას, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ძირითად სტრუქტურულ კომპონენტს, შეუძლია რადიკალურად შეცვალოს სწავლის ეფექტურობა და მათი სოციალური ინტეგრაცია.

განვითარების ფსიქოლოგებმა დაადასტურეს ადრეული ასაკის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებისთვის, დაამტკიცეს ადრეული ასაკის უნიკალურობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განვითარების დარღვევების მაქსიმალური გამოსწორების მიზნით. ადრეული დახმარების ძირითადი მიზნები მოიცავს: ბავშვის ზოგად განვითარებას და განვითარების დარღვევების მაქსიმალურად შესაძლო კორექტირებას; ბავშვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებასა და სოციალურ ადაპტაციას. ასევე დადასტურდა, რომ თუ ფსიქო-ფიზიკური განვითარების გამოხატული დარღვევები ადრეულ ეტაპზე გამოვლინდა, ადრეული ინტერდისციპლინური დახმარება გაეწია ბავშვს და კომპეტენტურად მოეწყო ოჯახის მხარდაჭერა, მაშინ ეს მძიმე განვითარების დარღვევები შეიძლება უკეთ ანაზღაურდეს.

ინკლუზიის ადრეული ასაკის კვლევითი ინსტიტუტის (ECRII) მონაცემების მიხედვით, ინკლუზიურ პროგრამებში მონაწილე შშმ ბავშვების მშობლები აფიქსირებენ დადებით ცვლილებებს მათი შვილების თავდაჯერებულობაში, თვითშეფასებასა და თვითეფექტურობაში. კვლევის შედეგები ასევე მიუთითებს რომ, როდესაც მასწავლებლები თავს კარგად მომზადებულად გრძნობენ, აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება ინკლუზიის მიმართ და სურთ ერთობლივად იმუშაონ, მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინონ ბავშვებს.

სკოლამდელ კლასებში ინკლუზიის ზრდასთან ერთად, მასწავლებლების დამოკიდებულებები და შეხედულებები შეიძლება განსხვავდებოდეს. ინკლუზიური განათლება, სავარაუდოდ, წარუმატებელი იქნება, როდესაც მასწავლებლები პოზიტიურად არ არიან განწყობილები ინკლუზიის მიმართ.

მნიშვნელოვანია სიღრმისეულად იქნას შესწავლილი შემდეგი საკითხები:
1. როგორია სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციისა და მასწავლებლების დამოკიდებულება ჩვეულებრივ კლასებში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ჩართვასთან დაკავშირებით;
2. როგორ ხდება მასწავლებლების მიღება, გათვალისწინებულია თუ არა მათი ცოდნა სპეციალური საჭიროებების შესახებ და მათი გამოცდილება ბავშვების ინკლუზიურ სწავლებაში.
3. აქვს თუ არა მასწავლებელთა ტრენინგსა და პროფესიულ როლებს მნიშვნელობა, როდესაც საქმე ეხება მასწავლებლის დამოკიდებულებას ინკლუზიური კლასების მიმართ.
4. რამდენად იყენებენ სპეციალისტები მუშაობის სხვადასხვა ფორმას მშობლების კომპეტენციის გასაუმჯობესებლად.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზია, ადრეული განათლება, შეზღუდული შესაძლებლობები, განვითარების დარღვევები.

Manana Melikishvili - Doctor of Psychology, Associate Professor, Faculty of Psychology and Educational Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Early Support for Children with Disabilities - the Initial Stage of Inclusive Education

Today the idea of inclusive education is spread widely in Georgia, which was facilitated by the ongoing reforms in the field of education. Early support for children with disabilities, as a basic structural component of the educational system, can radically change the effectiveness of learning and their social integration.

Developmental psychologists have confirmed the importance of early age for child development, the uniqueness of early years has been proven in order to maximize the correction of developmental disorders of a child with disabilities. The main goals of early aid include: the general development of the child and the maximum possible correction of developmental disorders; improvement of the child's quality of life and social adaptation. It has been proven that if severe disorders of psycho-physical development were detected at an early stage, early interdisciplinary help is provided to the child and family support is competently organized, then these severe developmental disorders can be better compensated.

According to the Early Years Research Institute for Inclusion (ECRII) parents of children with disabilities who participate in inclusive programs report positive changes in their children's confidence, self-esteem, and self-efficacy.

Research results also indicate that when teachers feel well prepared, have a positive attitude towards inclusion and are willing to work together, they can provide significant support to children. As inclusion in preschool classrooms increases, teachers attitudes and beliefs may vary. Inclusive education is likely to fail when teachers do not have a positive attitude towards inclusion.

It is important to study the following issues in depth:

1. What is the attitude of the preschool administration and teachers regarding the inclusion of children with special needs in regular classes;
2. How are teachers recruited, are their knowledge of special needs and their experience in inclusive education of children taken into account;
3. Do teachers training and professional roles matter when it comes to their attitudes towards inclusive classrooms;
4. Do specialists use different forms of work to improve the competence of parents.

Keywords: inclusion, early education, disabilities, developmental disorders.